ანტიმიკრობული რეზისტენტობის გამომწვევი ფაქტორები და მისი გავლენა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თაკო მოლაშხია

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თაკო მოლაშხია, 21.05.2025

აბსტრაქტი

ანტიმიკრობული რეზისტენტობა(AMR) თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ვინაიდან იგი იწვევს სიკვდიალიანობის ზრდასა და ინფექციური დაავადებების გავრცელებას. აგრეთვე ზიანს აყენებს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას. საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეპიდემიოლოგიური მონაცემებთან დაკავშირებით საკმაოდ მწირი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი. შეირჩა კვლევის შერეული მეთოდი. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს 18-65 წლამდე მოსახლეობაში, Google Forms-ის კითხვარის მეშვეობით, ხოლო ექიმებს შორის თვისობრივი კლევის მეთოდი იქნა გამოყენებული. კვლევის მიზანი იყო საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის გამომწვევი მიზეზებისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის გავლენის დადგენა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა სწორად ფლობს ინფორმაციას ანტიბიოტიკების განმარტების შესახებ, ასევე დიდ ნაწილს სმენია AMR-ის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამისა ბევრი მათგანი ვირუსული ინფექციის სამკურნალოდ იყენებს ანტიბიოტიკებს, ასევე შეინიშნება თვითნებურად გამოყენების შემთხვევები. ამავდროულად, უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია რა გავლენას ახდენს ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზრდა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე. რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი ეთანხმება რეგულაციების გამკაცრებას ანტიბიოტიკების გაყიდვასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლების საჭიროებასა და, ამავდროულად, მედპერსონალის განათლების დონის ამაღლების საჭიროებას. ექიმებს შორის ჩატარებული თვისობრივი კვლევის შედეგად დადგინა, რომ ისინი ხშირად ხვდებიან ანტიბაქტერიული(ანტიმიკრობული) რეზისტენტობის შემთხვევებს, თანხმდებიან, რომ AMR-ის ზრდა უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე, ასევე აფიქსირებენ, რომ მათ უტარდებათ ტრენინგები ანტიმიკრობული

რეზისტენობის შესახებ, თუმცა ფიქრობენ რომ საჭიროა გარკვეული რეგულაციები და პოლიტიკის ცვლილება ანტიბაქტერიული რეზისტენტობის შემცირებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ანტიმიკრობული რეზისტენტობა, AMR, ანტიბიოტიკი, თვითნებური გამოყენება, საზოგადოების ცნობიერების დონე.

Abstract

Antimicrobial (antibacterial) resistance represents a major global health threat, contributing to increased mortality, the spread of infectious diseases, and significant burdens on national healthcare systems. In Georgia, epidemiological data on antimicrobial resistance (AMR) remain scarce, hindering comprehensive analysis and effective intervention strategies. The aim of the study was to identify the causes of antimicrobial resistance in Georgia and to assess its impact on the country's healthcare system. Quantitative data were collected through an online questionnaire (via Google Forms) among individuals aged 18 to 65, while qualitative data were obtained through in-depth interviews with physicians. Findings indicated that the majority of respondents demonstrated accurate knowledge about antibiotics and were aware of AMR. Nonetheless, the misuse of antibiotics for viral infections and instances of self-medication were prevalent. Moreover, respondents lacked a clear understanding of how AMR affects the healthcare system. Despite these gaps, most participants supported stricter antibiotic regulations, public awareness campaigns, and continued medical education for healthcare professionals. Physicians reported frequent encounters with AMR cases and acknowledged its adverse impact on healthcare delivery. Although some received AMR-related training, they emphasized the need for stronger regulatory frameworks and policy reforms to curb resistance. These findings highlight

the urgent need for coordinated efforts in Georgia to improve antibiotic stewardship, enhance public and professional education, and implement evidence-based policies to address AMR.

Keywords: antimicrobial resistance, AMR, antibiotics, self-medication, people awareness.